№ 58 მარტი 18, პარასკევი 1888 მარტი 18, პარასკევი № 58

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 70 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ ნ ხიდდეკელის საგაზეთოს გოლოვინის პროსპექტი, წერა კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877 1888

ტფილისი, 17 მარტი

ცხოვრებაში ხშირად შეხვდებით ზნეობით უღონო და გონება დასუსტებულ ყმაწვილ-კაცებს, რომლებსაც ძალა არ შესწევთ, ცხოვრებას ანგარიში გაუწიონ, ცხოვრების საგანი იპოვონ და საჭირო, სასარგებლო წევრად გახდნენ, თუმცა ზოგჯერ სწავლა-განათლებაც მიუღიათ და თითქო გონებაც საკმაოდ უვარჯიშებიათ. იმათ შორის ხშირად შეხვდებით ისეთებს, რომლებსაც არც ზნეობრივი და არც გონებრივი ძალა შესწევთ და ეს გარემოება მეტად ძვირად უჯდება საზოგადოებას, რადგანაც ამ გვარი ადამიანი საზოგადოებას უნდა შეჰყურებდეს და არა საკუთარს თავსა. ისეთებსაც შეეყრებით, რომლებისათვის ბუნებას თითქო ბევრი რამ სიკეთე მიუმადლებია, მაგრამ ეს სიკეთე სადღაც დაუფლავთ და დაუკარგავთ, ან და ისეთი რამ ნიჭი და თვისება გამოჰკლებიათ, ურომლოდ ადამიანი მთლიანი არსება არ არის. ამ გვარი ყმაწვილ-კაცები ცხოვრებაში არავითარს საგანს, არავითარს აზრს ჰეძებენ და ამიტომაც თითქო სიცოცხლე ეზარებათ, თუმცა ზოგჯერ უაზრო და უშინაარსო ცხოვრებას არ უარ-ჰყოფენ. იმათ ეზარებათ გონების ვარჯიშობა და ამ ვარჯიშობაში ვერავითარს სიამოვნებას ვერა ჰპოვებენ და თითქო უფრთხიან. ამ გვარ ადამიანთ ბევრნი უნიჭოებს უწოდებენ და ამბობენ, ბუნებას ამა-და-ამისათვის არავითარი ნიჭი არ მიუმადლებია, არაფრით დაუვალებიაო. რადგანაც ზემოდ ხსენებულ ყმაწვილ-კაცთა რაოდენობა ყველგან დიდ-ძალია, ამიტომაც გამოდის, რომ უნიჭოთა რიცხვი დიდია; რომ უნიჭონი მეტ ბარგად აგვკიდებიან და რომ თითქო ბუნება მეტად ძუნწი იყოს და ადამიანისათვის სიკეთის გამომეტება ეზარებოდეს.

მაგრამ ნუ თუ მართლა ბუნება ეგოდენად ძუნწი არის, ნუ თუ დიდ-ძალი ყმაწვილ-კაცობა უნიჭო და უხასიათო იბადება, ნუ თუ დაბადებიდგანვე არა დაჰყვებათ-რა ისეთი, რაც ცხოვრებისათვის საჭირო და გამოსაყენებელი იყოს? ამაზე ის უნდა ვსთქვათ, რომ აღნიშნული გარემოება ეჭვს გარეშეა და მრავალჯერ და ბევრგან შენიშნულია, ხოლო მიზეზი იმისი დღემდის ნაკლებად შეგნებულია საზოგადოების უმრავლესობისაგან. მართალია, ბუნება მაინცა-და-მაინც უხვი არ არის, მაგრამ არც ისე ძუნწია, რომ უღონო და უნიჭო ადამიანი, ესე იგი ხელ-ფეხ შეკრული გამოაგდოს ცხოვრების სარბიელზე. მეცნიერებას შეუნიშნავს და კიდეც დაუმტკიცებია, რომ უფროს-ერთი ადამიანი საშუალო ნიჭისა და ძალ-ღონის პატრონია, ესე იგი იმდენად არის მიმადლებული ბუნებისაგან, რომ შეუძლიან ცხოვრების უღელი სწიოს, თუ რომ იმ საშუალო ნიჭს წვრთვნა და მოვლა ეღირსა, თუ ამ ნიჭს ყმაწვილისას საზოგადოება და მწვრთვნელი რიგიანად და მოხერხებულად გაუძღვა.

ამის დამამტკიცებელი საბუთი ის არის, რომ რამდენიც გინდათ სკოლა დაიაროთ, რამდენიც გინდათ ყმაწვილის გრძნობა-გონებას ჩაუკვირდეთ, გონებითად და ზნეობითად მახინჯს და უღონო ყმაწვილს იშვიათად შეეყრებით; პირიქით, მოზარდის თაობის უმეტესობა საშუალო ნიჭისაა და სწავლა და ბეჯითობაც შეუძლიანთ, ოღონდ შეიგნეთ იმისი ბუნება და რიგიანად მოეკიდეთ.

უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ დიდ-ძალი ყმაწვილ-კაცობა უნიჭო და ცხოვრებისათვის უვარგისია, ის «ქანცი» არის, რომელიც ევროპიის პედაგოგებს ყველა სკოლებში შეუნიშნავთ, და ბ-ნის მარტინოვსკის აზრით, რომელსაც «ივერიამ» გუშინ მთელი წერილი უძღვნა, ეს დაქანცვა ყმაწვილებისა უნდა დაებრალოს უხერხობას, გულ-გრილობას ოსტატისასა. აქედგან ცხადია, რომ დღევანდელი ოსტატი იმოდენად განსწავლული და მომზადებული არ არის, რომ გაუძღვეს მძიმესა და რთულს საგანს, სახელდობრ, მოზარდ თაობის წვრთვნასა და მოვლასა. რისგან წარმოსდგება უხერხობა და გულ-გრილობა ოსტატისა, თუ არა იქიდგან, რომ ოსტატი ნაკლებად განსწავლულია პედაგოგიაში და ყველა იმ საგნებში, რომლებზედაც პედაგოგიაა დამყარებული. ეს გარემოებაც იმოდენად შენიშნული და გამოქვეყნებულია, რომ არავის არ ძალ-უძს ამაზე თვალი აიხვიოს და უარ-ჰყოს იგი. მართლადაც, დღევანდელმა მასწავლებელმა, თუ რიგიანად იცის ის საგნები, რომლების სწავლება იმისი მოვალეობაა, სამაგიეროდ თითქმის არა იცის-რა ადამიანის ხორცისა და სულის ბუნებისა და სხვა საჭირო მეცნიერებისა და, მაშასადამე, ნაკლებად განსწავლულია პედაგოგიაში, ურომლოდაც მოზარდის თაობის ზრდა და წვრთვნა უქმი სიტყვაა. მართლაც-და ნუ თუ ადამიანმა, როცა ხელს ჰკიდებს რომელსამე საგანს, არ უნდა იცოდეს ამ საგნის ბუნება და ვითარება? დიაღ, ამ ბუნებისა და ვითარების არ-ცოდნაშია იმ უხერხობის და გულ-გრილობის მიზეზი, რომელიც ბ-ნმა მარტინოვსკიმ აღნიშნა.

ეს არ-ცოდნა კიდეც შეუნიშნავთ პედაგოგებს, ექიმებს, რომლებიც სცდილობენ დაეხმარონ დღევანდელს სკოლას და ჰღაღადებენ იმას, რომ მოზარდ თაობისათვის საჭიროა კარგად, საფუძვლიანად განსწავლული ოსტატი, არა მარტო იმ საგნებში, რომელიც უნდა ასწავლოს ყმაწვილებს, არამედ [illegible] იმ საგნებშიაც, რომელზედაც დამყარებული და აგებულია პედაგოგია.

ა. ს—ი.

## ახალი ამბავი

*** ელექტრონით ქალაქების განათებელ ფირმის პატრონი შვეიცარიაში ბ-ნი ბლანშო ამ ჟამად თვით ჩამოსულა ტფილისში და მოლაპარაკება გაუმართავს ქალაქთან ელექტრონის სინათლით ქალაქის განათების თაობაზე. ამ ბლანშოს ფირ-

# ფელეტონი

## რამდენიმე შენიშვნა

### შესახებ ილ. ჭავჭავაძის «ოთარაანთ ქვრივისა»*)

„ენამ გულისა უნდა სთქვას“
ოთარაანთ ქვრივი.

სხვისათვის თავის აზრების და შთაბეჭდილებათა განზიარება და სხვის აზრების და შთაბეჭდილების გაგება შესახებ რომლისამე საყურადღებო მოვლენისა შეადგენს ადამიანის ერთს უპირველესს სულიერ მოთხოვნილებათაგანს, და სწორედ ამ სულიერ მოთხოვნილების ნაყოფია ეგ ჩვენი «რამდენიმე შენიშვნაც» „ოთარაანთ ქვრივის“ გამო...

ჩვენ სახეში არა გვაქვს კრიტიკულად გავარჩიოთ «ოთარაანთ ქვრივი», — ჩვენ გვსურს მხოლოდ საზოგადოებას განვუზიაროთ ის შთაბეჭდილება, რომელიც ამ მოთხრობამ იქონია ჩვენზე, როგორც ერთს ამ მოთხრობის წამკითხველთაგანზე. ამ გვარმა «შენიშვნებმა» შესაძლოა კრიტიკოსსაც გაუწიონ მცირე რამ სამსახური.

«ოთარაანთ ქვრივი» ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს კაცზე, თითქო იგი იყოს ერთი რომელიმე ნაწყვეტი უფრო დიდის ქმნილებისა, და არა ცალკე, დამთავრებული მოთხრობა. მკითხველს ძალა-უნებურად თვალწინ ეხატება, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ამ მოთხრობის შექმნის ისტორია. ავტორს ჯერ რაღაც დიდი ქმნილების დაწერა განუზრახავს და კიდეაც დაუწერია ამ ქმნილების შესაფერი რამოდენიმე შესავალი ხანა (I—VI)—ფიქრობს იგი,—მაგრამ შემდეგ, რაკი ამ ფართო სამზღვრებში დაწყებული მოთხრობის იმ გვარ სამზღვრებშივე გაგძელება და დამთავრება ვერ მოუხერხებია, თუ დაზარებია, მოთხრობის ძაფი შეუწყვეტია და სიჩქარით და ფაცა-ფუცით შესავლისათვის რამოდენიმე შეუმუშავებელი ხანა მიუბლანდია, რომლებშიაც, ერთის მხრით, ტენდენციურად გამოსთქვამს იმ აზრს, რომელიც პირველ დაწყებულ ქმნილებაში ცხოვლად უნდა გაეყვანა, და, მეორეს მხრით, ცდილობს, მოთხრობის გასათავებლად, რაც შეიძლება ჩქარა მოკლას მომქმედი პირები.

«ოთარაანთ ქვრივის» ფაბულა მეტად ღარიბია. აი სქემა ამ მოთხრობისა. ოთარაანთ ქვრივს ჰყავდა შვილი გიორგი, რომელთანაც იმას კარგი დედაშვილობა ჰქონდა (ხხ. I—VI). ერთხელ გიორგი სანადიროდ წავიდა და სამი დღე შინ არ დაბრუნებულა; ამის შემდეგ დედა ამჩნევდა, რომ შვილი რაღაცაზე დაფიქრებულია, და დედის გულს მეტად აწუხებდა ეს გარემოება. ასე გავიდა ორი წელი. ბოლოს დედამ გამოჰკითხა შვილს დაჯავრიანებულობის მიზეზი და შვილმა გამოუცხადა დედას, რომ რიდი მქონდა შენი და ვერ გეუბნებოდი, თორემ მე გარდავწყვიტე მოჯამაგირედ დაუდგე არჩილსაო (VII—VIII), რომელიც იყო უმაღლეს სასწავლებელში სწავლა-შესრულებული ახალგაზდა, ადგილობრივი მემამულე, და რომელსაც ჰყავდა განათლებულივე და—კესო. მცირე ყოყმანის შემდეგ, ოთარაანთ ქვრივი თანხმდება და გიორგი მოჯამაგირედ უდგება არჩილს, რომელსაც, ერთის მხრით, უკვირს ამ გვარი გიორგის საქციელი, და, მეორეს მხრით, უხარია ასეთის გამრჯე კაცის შოვნა (IX—X). ოთარაანთ ქვრივი ისტუმრებს შვილს ოჯახიდამ (XI). გიორგი დიდის გულმოდგინებით ემსახურება არჩილს, უკეთებს ვენახს, ბაღს, რომელშიაც ყოველდღე ჰხვდება კესოს, და დიდად მადლიერია თავის ბედისა (XII—XV). მაგრამ არჩილისას ჰდგმენ თივის ზვინს, გიორგი ასწორებს პეტრეს დადგმულს ზვინს, ვარდება ზემოდამ და კვდება. სიკვდილის ჟამს გიორგი ტყდება, რომ იმას უყვარდა კესო,—ყველანი, გარდა ოთარაანთ ქვრივისა, განცვიფრებულნი არიან. შვილი კვდება, დედა სტირის (XVI—XVIII). არჩილი ისეთის ყოფით და ამბით მარხავს გიორგის, თითქო იმისი ოჯახიშვილი ყოფილიყო. კესო სტირის, — „სიყვარული ძნელიაო“, ამბობენ სოფლის დედაკაცები. აქ ავტორი სარგებლობს ერთი დედაკაცისაგან ნათქვამის სიტყვით, — «კაცი მოიდნეს და ქვეყანას ამით უბმე თვალსაო»,—და არჩილს მოთხრობის ტენდენციას ათქმევინებს (XIX—XX). ოთარაანთ ქვრივი ჰკვდება, ბებერი მეწისქვილე სოსია, «კაცი ძველი, გულ-ჩახვეული, ჩუმი და ამიტომ ყველასაგან დაბრიყვებული», რომელსაც,—ნუ იტყვით,—ოც-და-ათი წელი ოთარაანთ ქვრივზედ გული შევარდნილი ჰქონია, მწარედ სტირის და, როდესაც ტირილს უშლიან, ამბობს: „ცოცხალზე არ გამახარა წუთი-სოფელმა და მკვდარზედაც აღარ მატირებთო!.. ცოდო ვარ, შვილო, ცოდოო!“ «მართლა რომ ცოდოა!.. მაგრამ სხვა ვინ არ არის ცოდო?—ერთიც ეს არის საჭირ-ბოროტო და წყევა-კრულვიანი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორ-მასწორო წუთისოფელშიო», უსამძიმრებს ავტორი სოსიას და ამით ათავებს მოთხრობას. ამ გვარია რომანტიული ფაბულა ბ-ნ ჭავჭავაძის ახალი მოთხრობისა, და ამ რომანტიულ ფაბულაზე შეუხამებელი ფერადით გამოქარგულია, ან უკეთ ვსთქვათ, ზედ დაკერებულია მოთხრობის ტენდენცია, რომელსაც თითქმის არავითარი შინაგანი კავშირი არა აქვს მოთხრობის შინაარსთან. ავტორს თავისუფლად შეეძლო გამოეშვა მოთხრობიდამ ის ორი ხანა (XIX და XX), სადაც ეს ტენდენცია არის ჩამწყვდეული, და თქვენ ვერც-კი მიხვდებოდით, რომ იქ რაღაც უნდა ჰყოფილიყო; ავტორს შეეძლო შემდეგ ის ორი გამოშვებული ხანა, მცირეოდენი შეცვლით, ცალკე დაებეჭდა გაზეთში, თუ გინდ მოწინავე სტატიად, და თქვენ შეგეძლოთ კიდევ ვერ მიმხვდარიყავით, რომ ეს მოწინავე სტატია იმ მოთხრობიდამ იყო ამოღებული, რომელიც თქვენ წინად წაიკითხეთ. მართალია, «ოთარაანთ ქვრივი» მაშინ კიდევ უფრო დაუმთავრებელი მოთხრობა იქმნებოდა, მინამ ამ ჟამად არის, მაგრამ... განა ტენდენციის ჩაყენება-კი ჰშველის მას? «ოთარაანთ ქვრივი», როგორც მოთხრობა, დღესაც ერთ სუსტს, ტენდენციურს მოთხრობას წარმოადგენს, რომლის ნაწილები თეთრის ძაფით არიან შებლანდულნი და რომლის მეორე ნახევარი — ერთი რამ ნაძალადევია, თუმცა მასშიდაც ურევია ისეთი ობოლი მარგალიტები, როგორც «ჯავრი დედისა», «ორი თვალი» „ზარი“ და «უკანასკნელი განდობა». რა უნდოდა ამ კაცს ეთქვა ამ მოთხრობით?—ძალა-უნებლიეთ ეკითხებით თავის თავს, როდესაც მოთხრობას წაიკითხავთ,—რად დაუწერია ეს მოთხრობა? ნუ თუ მხოლოდ მისთვის, რომ ის აზრები გამოეთქვა, რომლებიც არჩილმა გამოსთქვა მე-XIX და მე-XX ხანებში? კარგი, მაგრამ რა საჭირო იყო ამისათვის მოთხრობის წერა, თუ-კი ეს აზრები მხოლოდ ისე იქმნებოდნენ მიბმულნი მოთხრობის ბოლოს, როგორც მეტი ცხენი ეტლის ბოლოს მიიბმის ხოლმე? რად ჰქვიან ამ მოთხრობას «ოთარაანთ ქვრივი», როდესაც-რომ მომქმედნი კაცნი ამ მოთხრობისა,—თუ-კი ისინი არიან,—სხვანი არიან, და არა ოთარაანთ ქვრივი? თუ ავტორს უნდოდა ამ მოთხრობაში მხოლოდ დაეხატა ოთარაანთ ქვრივის და მისი შვილის ხასიათები, რა საჭირო იყო ამისათვის მოთხრობის რომანტიული ფაბულა, ერთი სიტყვით, რა საჭირო იყო ის, რაც ამ მოთხრობის შინაარსს შეადგენს? რამ მოამართვინა პოეტს თავისი ჩანგი რომანტიულ კილოზე? რამ შეათხზევინა ამ მოთხრობის უშნო შინაარსი?.. ერთი სიტყვით, რამ დააწერინა «კაცია-ადამიანის», «გლახის ნაამბობის», „აჩრდილის“ და „განდეგილის“ ავტორს «ოთარაანთ ქვრივი»?

როგორც ჩვენ ზემოდაც ვთქვით, პირველი ექვსი ხანა უკეთესი ნაწილია მოთხრობისა. თვით ამ ნაწილს,

---

*) ეს „შენიშვნები“ მოგვივიდა და თან ავტორი გვწერს ცალკე წიგნში, სხვათა შორის, ამას: „შეიძლება, თქვენ არ გეხერხებოდეთ თავის გაზეთში ჩემი შენიშვნების იმ ადგილების დაბეჭდვა, სადაც მე ქებით მოგიხსენიებთ თქვენ, მაგრამ საჭიროა, არ დავივიწყოთ, რომ ,,ივერია‘‘ ერთად-ერთი (არასპეციალური) ქართული გაზეთია, და რომ იქაც არ შეიძლებოდეს თქვენზე როგორც ავის, ისე კარგის თქმაც; მაშინ ჩვენ თითქმის იძულებულნი ვიქნებოდით სრული მართალი არასოდეს არ გვეთქვა“.

ჩვენ სწორედ იმ ადგილს მოვერიდენით, რომელსაც ავტორი ასახელებს. სხვას დანარჩენს-კი სიტყვა-სიტყვით და შეუცვლელად ვბეჭდავთ.

მამვე, როგორც უკვე ვიცით, აილო მოწყობა ბანკის თეატრის და ქარვასლის განათების საქმისა ამ სინათლითა. ბლანშო ჰფიქრობს ახლა, თუ მოურიგდა ქალაქს, დინამო-ელექტრონის მაშინა დასდგას თამამშოვის წისქვილს ახლო, მნაცაკანოვის ხიდთან, და იქიდამ ანათოს ქალაქი ღამით და დღისით ელექტრონის ძალა მოახმაროს ტფილისის ქარხნებსა.

*** ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკს უკვე მოსვლია ბლანშოსაგან შვეიცარიიდამ ლოკომობილი, რომელიც დაბარებული იყო სრულის განათებისათვის თეატრისა და ქარვასლისა ელექტრონით.

*** ბ-ნს თავისუფალს სვანს, რომელიც ჩვენს გაზეთში ხშირად ჰბეჭდავს სხსა-და-სხვა ვრცელს წერილებს სვანეთის ყოფა-ცხოვრების შესახებ, შეუდგენია ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი.

*** ნამდვილად შევიტყეთ, რომ სოხუმის მეორე გილდიის ვაჭარს, ბ-ნს თურქიას, 200,688 მარკა-კი არ მოუგია ჰამბურგის ლატარიაში, არამედ სულ 60 მარკა ჰრგებია და არ ვიცით, რა მიზეზით მოუნდა ვილაც ალექსი სანაის ჩვენის გაზეთის შეცდენა, როცა დაჟინებით გვწერდა ამას წინად, 25 თებერვლის თარიღით დანიშნულს წერილს, რომ თურქიამ 200,688 მარკა მოიგოვო. ეტყობა, სანაიას სულ 200,000 მანათიანი მოგება ელანდება და, ხომ მოგეხსენებათ, მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდაო. ხუმრობა ხუმრობად იყოს, მაგრამ საწყალს თურქიასთვის-კი საქმე გაუჭირებიათ ნაცნობებს და მეგობრებს, რომელთა რიცხვი ასზე მეტი აღმოჩენილა, და მაშინვე დეპეშები დეპეშებზე დაუხლიათ: მოგვილოცავს შენი გაბედნიერება და აგრემც ღმერთი გადღეგრძელებს, ცოტაოდენი ჩვენც გვასესხეო.

*** ლიონის ქალაქში (საფრანგეთში) დაუბეჭდიათ ეტნოლოგიური რუკა კავკასიისა. ეს რუკა შეუდგენიათ ზეიდლიცისა, კომაროვსა, ფონ-ერკერტისა და ლიონის საგეოგრაფიო საზოგადოების თავ-მჯდომარის, ბ-ნ შანტრის ნაწერების მიხედვითა და ხელმძღვანელობით.

*** სოხუმი: 13 მარტს სათათრეთიდამ მოვიდნენ ორას სულზე მეტი სომხები და გუდაუთის ნაწილში დასასახლებლად გაემგზავრენ.

სოხუმის მაზრაში ოც-და-ათი ათას ფუთამდის არის გამზადებული თამბაქო და მსყიდველი-კი არა სჩანს. ამის გამო მუშა ხალხი დიდს გაჭირებაში თურმე.

*** 14 მარტს პოლიციის მე-8 ნაწილში წაართვეს ნახიჩევანის მცხოვრებელს ქალბალაი-ალი-ბაბა-ოღლის ვიღასიც ორი მუთაქა. ამ მუთაქების პატრონს შეუძლიან თავისი საქონელი მიიღოს მე-8 ნაწილში, თუ აშკარა საბუთებს წარმოადგენს, რომ იმისი კუთვნილებაა.

*** 16 მარტს მე-9 ნაწილში, მტკვრისპირა ქუჩაზედ, იპოვნეს მიგდებული ყმაწვილი-ქალი, სულ ორის კვირის დაბადებული. ყმაწვილი საბებო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** 16 მარტსავე რეუტის ქუჩაზედ იპოვნეს მიგდებულივე ყმაწვილი-ვაჟი, სულ ერთის კვირის დაბადებული. ესეც საბებო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

——<>——

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოხუმი**, 3—12 მარტი. როგორც მკითხველს უკვე მოეხსენება, ჩვენს ქალაქში ამ ჟამად იმყოფებიან უმაღლესის ბრძანებით დროებით მოსულ სამხედრო სასამართლოს წევრნი პროკურორითურთ იმ ოთხ აფხაზთა გასასამართლებლად, რომლებსაც გენერალ ზავადსკის და სხვა სამის კაცის მოკვლა ჰბრალდებათ.

აი თვით საქმეც. შარშან, 15 ენკენისთვისას, ექვსს საათზე საღამოს ჟამს, ბოროტ-განმძრახველნი, როგორც საქმიდამ სჩანს, დასცემიან გენერალ ზავადსკის. როგორც თვით ზავადსკი, ისე იმისი ორი მსახური დაუხოცნიათ, ყოველივე, რაც-კი რამ შინ უპოვნიათ, შეუკრავთ მაფრაშებში, აუკიდნიათ გენერალისავე ცხენზე და გზას გასდგომიან; გამოსულან თუ არა გზაზე, მოსწევიან გუდაუთელ ვაჭარს, ფილიპე ბოკუჩავას, დაუციათ ოთხი რევოლვერი, მოუკლავთ, რაც რამ ზედ ჰქონია, წაურთმევიათ და გაქცეულან.

ამ გვარი მკვლელობა საზოგადოდ შემაძრწუნებელია, მაგრამ ამ შემთხვევას დიდს მნიშვნელობას აძლევს აქ, აფხაზეთში, ერთი რამ გარემოება. ჩვენ ისტორიიდამ კარგად ვიცით, რომ აფხაზი, თუ-კი ის ოსმალეთის აბრაგებში არა რეულა როდისმე, თავის დღეში ამ გვარ ავაზაკობას არ ჩაიდენს. მართალია, აფხაზს ქურდობა უყვარს და თუ ცხენის პატრონმა წინააღმდეგობა გაუწია, შეიძლება კიდეც შემოაკვდეს, მაგრამ რომ აფხაზი ვისმე სახლს დასცემოდეს, ეს ამ ერთს გარდა არ გაგვიგონია. ამიტომაც იყო, რომ 15 ენკენისთვის შემთხვევამ მთელი აფხაზეთი ფეხზე დააყენა. ყველანი ცდილობდნენ ამ ავაზაკობის ჩამდენნი ეპოვნათ და მართლაც, სამს დღეს არ გაევლო და მოედვა კიდეც მკვლელების სახელი სოფლებსა და ქალაქებს. ესენი იყვნენ ოსმალეთიდამ მოსულნი აფხაზნი, შაბაი მარღანია და ზაქარია ოთურბა. ყველა, დიდი და პატარა, შეუდგა ამ კაცების ძებნას, რამდენსამე ადგილს მიიკვლიეს კვალი, მაგრამ გამოქნილი აბრაგები ყოველთვის გაექცეოდნენ ხოლმე. ბოლოს ერთის კაცის ეზოში მიიკვლიეს კვალი. ესეც აი როგორ მოხდა. ერთმა ახალგაზდა, 19 წლის ყმაწვილმა აფხაზმა მოახსენა ადგილობრივს უფროს: ,,მე ვერიე ზავადსკის მკვლელებში. აი საქმე როგორ იყო: ადამა სმირმა მიმიხმო შინ და მითხრა — თუთუნის მოსაპარავად, მივდივართ და, თუ გინდა, შენც მოდიო. მეც წავყევი. ჩვენთან იყო შაბაი მარღანია, ზაქარია ოთურბა და აშუა. მე ცხენები დამაჭერიეს სიმინდში და ესენი წავიდნენ ზავადსკის სახლისაკენ. ცოტა ხნის შემდეგ თოფის ხმაც მომესმა და შემდეგ ნაალაფევით გამოვიდნენ; მე მაშინვე ვსცან, აქ კარგი ამბავი არ არის-მეთქი, მაგრამ რას ვიქმოდი. შემდეგ ბოკუჩავას დავეწიეთ და ის მოჰკლეს. აქედამ ცოტა გზა-კვალის ასარევად სოხუმისაკენ გავიარეთ და მერე ისევ ტყე-ტყე აცისაკენ გავსწიეთ. ნაალაფევი სმირის სახლში გვინდოდა დაგვეტოვებინა, მაგრამ მან ეს არ ინება. ბოლოს აშუას მივაბარეთ''.

აშუა და სმირი ამ ჩვენების გამო დაიჭირეს და ამათთან ეს ახალგაზდა ბიჭიც. შემდეგ ბეჯითად შეუდგნენ შაბა მარღანიას და ზაქარია ოთურბას ძებნას, მაგრამ ორი კვირა არ გასულა მკვლელობის შემდეგ, რომ აქ ხმა გავარდა, მარღანია და ოთურბა ოსმალეთშივე გავიდნენ ნავითაო. ხალხმა ცოტა არ იყოს თავისუფლად ამოისუნთქა. სასამართლოც შეუდგა საქმის გამოძიებას. ამ საქმეში ამოჰყო თავი ოსმან მარღანიამ. გამომძიებელმა თითქმის სამოც მოწამეს ჰკითხა; ზოგი მათგანი ბოროტ-მომქმედთ წინააღმდეგ ამბობდნენ, ზოგნი-კი იმათ სასარგებლოდ. სასამართლოც ძლიერ გულ-მოდგინედ მოეკიდა საქმეს და ამ ხანგრძლივის სხდომისა და გამოძიების შემდეგ, ბევრად თუ ცოტად, გამოიკვლია საქმე. სასამართლომ ალ. აბბა, ად. აშუა და ად. სმირი სცნო დამნაშავედ და მიუსაჯა ჩამოხრჩობა, ხოლო ოსმან მარღანია გაანთავისუფლა. ხალხი ძლიერ ბევრი დაესწრო საქმის გარჩევაზე. როდესაც საშინელს სასჯელს უცხადებდნენ ბრალდებულთ, ალექსი აბ-

---

ცალკედ ალებულს, შეეძლო შეედგინა მაღალ-ღირსებით ალსავსე ეტიუდი, «ოთარაანთ ქვრივი». აქ ავტორი ჩვეულებრივი ნიჭით გვიხატავს ოთარაანთ ქვრივის და იმის შვილის, გიორგის, ხასიათებს, რომლებზედაც ჩვენ თითქმის არაფერს ახალს აღარ გვეუბნებიან შემდეგი ხანები. დედის ხასიათი ბევრად უფრო ცხოვლად არის დახატული, ვიდრე შვილისა, და ამას, უსათუოდ, თვით ავტორი კარგად ჰგრძნობდა, როდესაც თვით მოთხრობას, — რომელშიაც ოთარაანთ ქვრივი მხოლოდ მეორე ხარისხოვანი პირია, — «ოთარაანთ ქვრივს» არქმევდა; და მართლადაც, ამიერიდამ სიტყვა „ოთარაანთ ქვრივი“ საზოგადო სახელად გარდიქცევა, და, სადაც უნდა შევხვდეთ ცხოვრებაში ოთარაანთ ქვრივს, ჩვენ ადვილად ვიცნობთ. «ო, ნათ' ლიდედ, ნათლიდედ!» — მხიარულად მივეგებებით, როგორც ჩვენ ძველ ნაცნობს; ოთარაანთ ქვრივი ამიერიდამ დაიჭერს საპატიო ადგილს ჩვენი ლიტერატურის იმ გვარ უკვდავ ტიპთა შორის, როგორნიც არიან ლუარსაბ თათქარიძე და დარეჯანი, ნახირ-ფაშა და კუდურ-ხანუმი... ეს დიდი ნიჭით და ხელოვნებით შექმნილი ტიპი მით უფრო ძვირფასია, რომ იგი პირდაპირ ხალხის ცხოვრებიდამ არის ამოღებული. ჩვენ არას ვიტყვით თვით ტიპის ხასიათზე, — ვინც-კი მოთხრობას წაიკითხავს, ის თვით დააფასებს ოთარაანთ ქვრივის ხასიათს, აქ ჩვენის მხრით კომენტარიები სრულებით უალაგო იქნებოდა. არ შეგვიძლია მხოლოდ არა ვთქვათ, რომ, ჩვენის ჰაზრით, ავტორს, ხასიათის უფრო ცხოვლად გამოსახატავად, გარდაუმეტებია და მეტის რისხვით შეუმასია ქვრივი, მინამ საჭირო იყო. «ჯგუფად რომ გლეხ-კაცობა სადმე მდგარიყო, ნამეტნავად თუ შიგ ერია სოფლის მოხელე ვინმე, — ნაცვალი თუ მამასახლისი, — და ოთარაანთ ქვრივი დაენახათ მიმავალი, ისე გაიფანტებოდნენ აქედ-იქით, თითქო ალალმა დაჰქროლა წიწილებსაო», ამბობს ავტორი. «შე კაცო, რა ბაყბაყ დევი მე მნახესო!» საფუძვლიანად ესაყვედურება ოთარაანთ ქვრივი.

გიორგის ხასიათიც იმავე ცხოვრებიდამ არის ამოღებული, იმავე თორნეშია გამოცხობილი, იმავე „შექმნის ძალით“ დაწნილია, როგორც ოთარაანთ ქვრივის ხასიათიც. გიორგი ნამდვილი „ხალხის შვილია“, და ამაშია მისი ძალა და მიმზიდველობა. პოეტი იმას გვიხატავს პატიოსან, გულ-უბრყვილ, მარჯვე და შრომის-მოყვარე კაცად. გიორგი «კაცობის დიდ ნიშან-წყალით» არის აღბეჭდილი და იმ ნამუსის მექონია, რომელიც „სხვისასაც ისე ერჩის, როგორც თავისას“; მას არ შეუძლიან გულ-გრილად უცქიროს «საწანახელდოდ გამხდარს საქმეს და იქავ ხელით-უძრავს მოსაქმეს». გიორგი «თვით ბუნებით არის შექმნილი» და «იმ გვირისტით არის შეკერილი, რომელიც მარტო ბუნებამ იცის», — ერთი სიტყვით, გიორგი ნამდვილი გლეხის ტიპია, ხალხის ცხოვრების ძირიდამ ამოღებული; იგი ამ ცხოვრების საზოგადო მოვლენაა, და არა იშვიათი გამორიცხვა, მაგრამ რადგან ავტორისათვის საჭირო იყო, რომ, თუ არ გვარიშვილობა, კესოსათვის შესაძლო ჰყოფილიყო გიორგის შეყვარება, იგი გიორგის გლეხის ტყაპუჭს ჰხდის და, გარეგნობით მაინც, მას თავადს ამსგავსებს. მართალია, გიორგი «ერთი ჯმუხი და ძარღვიანი ყმაწვილი კაცი» იყო, მაგრამ, როდესაც იგი კოხტად და ფაქიზად ჩაცმულ-დახურული, ბაზარში გაივლიდა, იტყოდენ ხოლმე: «ერთი დოინჯის შემოყრა-ღა აკლია, თორემ თავადიშვილია და თავადიშვილიო». ასე წარმოიდგინეთ, გიორგი «ტოლ-ამხანაგობასაც აგრე რიგად არ ეწყობოდა და თუ როგორმე ჩაერევოდა, პირველობას ყველანი ამას უთმობდნენ». ტყუილადკი არ უკვირდათ თავადებს, «გლეხ-კაცობაში როგორ უნდა დაწნილიყო ამისთანა ზნე, ამისთანა ხასიათიო». როგორც ავტორისათვის, ისე იმათთვისაც გიორგი «გამოუცნელი ''გამოცანა» იყო, რომლის ასახსნელად ისინი ჰამლეტის სიტყვებს მიმართავდნენ ხოლმე: — «ბევრი რამ არის, ჩემო ჰორაციო, ამ ქვეყნიერობაში იმისთანა საიდუმლო, რომელიც სიზმრადაც არ მოსჩვენებიათ ჩვენს ფილოსოფოსებსაო». ამ გვარად ავტორი საზოგადო მოვლენას, ტიპს, — არ ვიცით, რა აზრით და მოსაზრებით, — იშვიად გამორიცხვად ჰხდის, რითაც, ცოტა არ იყოს, ამცირებს ამ ტიპის მნიშვნელობას. თუმცა, როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, გიორგის ხასიათი ბევრით ჩამოუვარდება სიცხოვლით ოთარაანთ ქვრივის ხასიათს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, იგი დიდი შენაძენია ჩვენ ტიპებით მეტად ღარიბ ახალ ლიტერატურისათვის.

ავტორი, რა-კი ოთარაანთ ქვრივს და გიორგის გაგვაცნობს, იმ წამს მართლა რომ „უცნაურად სკენის ნასკვს“, — როგორღაც და სადღაც გიორგის კესოს შეაყვარებს და პირდაპირ არჩილის ოჯახში შეგვიყვანს. მაგრამ ვიდრე ამ «ნასკვზე» გარდავიდოდეთ, საჭიროდ ვრაცხთ რამოდენიმე სიტყვა არჩილზე და კესოზედაც ვსთქვათ.

არჩილი, თავის ერთად-ერთი გასათხოვარი დით — კესოთი, ცხოვრობდა სოფელში და თვითვე მართავდა თავის მამულს. სოფელი ძალიან ემადლიერებოდა ამ და-ძმას. კაი ხალხიაო, ყველა ამას იძახდა, ვისაც-კი დაეკითხებოდით. არჩილი ახლად გადმოსული იყო რუსეთიდამ, სადაც მას შეესრულებინა განათლება, — უნდა ვიგულისხმოთ უმაღლეს სასწავლებელში, რადგან საშუალო განათლების მისაღებლად ჩვენებთაგანი ძვირად თუ ვინმე მიდის რუსეთში. არჩილი ნაკითხი კაცი იყო, მაგრამ არც სულ «წიგნის კაცი», არც სულ „მწიგნობარი“ იყო, მას ესმოდა, რომ «არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდამ გამოხედვა», რომ «უწიგნოდ თვალთა-ხედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნებითაც საკმაოდ გძელი არ არის»; მას სჯეროდა, რომ «ყველა გონიერი კაცი, თუნდა უწიგნოც, ზოგჯერ მწიგნობრისათვისაც-კი ოსტატია». ამის გამო არჩილს ძალიან უყვარდა გლეხებში ყოფნა და იმათთან ლაპარაკი, ზოგჯერ ლაზღანდარაობაც; მას არა ერთხელ უთქვამს, რომ მე იმათგან ზოგჯერ ჭკუასა და ხშირად ენასა ვსწავლობო. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, განათლებას ვერ მოუკლავს არჩილში თავადის მედიდური შეხედულება გლეხზე, როგორც ამაზე ჰმოწმობს მე-X ხანას თვით სათაური. ასე თუ ისე, არჩილის ხასიათზე ბევრი ლაპარაკი მეტი იქნებოდა: მოთხრობაში არჩილი ცოცხალი პირი როდია, ის მხოლოდ განყენებული სახეა, რომელიც ჩვენთვის მარტო იმდენად არის საყურადღებო, რამდენადაც ავტორი მის პირით სარგებლობს თავის ჰაზრების გამოსათქმელად.

რა ადამიანი იყო კესო, ამაზედ ისტორია მეტად ცოტას მოგვითხრობს. ვიცით მხოლოდ, რომ კესო იყო არჩილის და, არჩილსავითვე კეთილი და რუსულად მოლაპარაკე. ან სად ისწავლა კესომ ეგ რუსული, ან საზოგადოდ რა განათლების პატრონი იყო იგი, — ავტორი საჭიროდ არ რაცხს ამის ახსნას, თუმცა ეს სრულებით მეტი არ იქნებოდა. მხოლოდ იმ გარემოებიდამ, რომ კესო და იმის განათლებული ძმა არჩილი «რას არ ჰკითხულობდნენ» ერთად, და იმ გარემოებიდამ, რომ კესო „ტკივილით“ ლაპარაკობს «ჩატეხილ ხიდზე?» და „თითების ფშვნეტით და მტვრევით“ ეკითხება არჩილს — «წინ რაღააო», ჩვენ შეგვიძლია გამოვიყვანოთ დასკვნა, რომ კესო განათლებული და ნაკითხი ქალი უნდა იყოს. საზოგადოდ, კესო კიდევ უფრო განყენებულად და ბუნდად არის გამოხატული, მინამ არჩილი.

ავტორი არც იმის ახსნას ჰრაცხს საჭიროდ, ან თუ დადიოდა გიორგი «უცნაური ნასკვის» წინად არჩილისას, ან თუ როგორ და სად შეუყვარდა მას კესო. ვიცით მხოლოდ, რომ ოთარაანთ ქვრივი-კი ჰხვდებოდა ხანდისხან და-ძმასა.

«ოთარაანთ ქვრივს ზოგიერთი კარგიც ახსოვდა ამ და-ძმისაგან. თვითონ არჩილს და იმის დასაც ბევრი რამ ჰქონდათ შეტყობილი ოთარაანთ ქვრივზედ და ბევრს იცინებდნენ ხოლმე მოწონებით სიცილითა, როცა-კი უცნაურის ქცევის და სიტყვა-პასუხის ამბავს ამ დედაკაცისას გაიგონებდნენ.»

რაც შეეხება გიორგის...

«გიორგის ამბებიც არა-ერთხელ მისვლიათ და-ძმასა და არა-ერთხელ გაჰკვირვებიათ იმისი ზნე და ხასიათი.»

ერთი სიტყვით, ავტორი გვეუბნება, ეგ თქვენი საქმე არ არის, სად და როგორო, მე გიორგის კესო შევაყვარე და ეკკლესიაზედ მოხდა ეგ თუ გზაზედ, — ეს ჩემი საქმეა და არა თქვენიო.

თვით მოთხრობის დედა-ჰაზრი, ავტორისაგან მოთხრობის უკანასკნელ ხანებში არჩილის პირით გამოთქმული, მეტად საყურადღებო და საგულისხმიეროა.

,,ჩვენსა (უმაღლეს წოდების) და იმათ (გლეხ-კაცობის) შუა ხიდია ჩატეხილი: ისინი იქით ნაპირას დარჩნენ, ჩვენ აქედ. შორი-შორსა ვართ და თვალი ერთმანერთისათვის ვეღარ მიგვიწვდენია, თვალი მართალი და უტყუარი... ამ დიდ მანძილზედ განა ცოტა რამ არის, რომ უღონო თვალს თითქო შავად აჩვენოს? ჩვენ კიდევ ხედვა გაძლიერებული გვაქვს, დურბინდით შეგვიძლიან ყურება და ეგ დურბინდი სწავლაა და ცოდნა. ისინი მაგასაც მოკლებულნი არიან... ჩვენ ვინ და ისინი ვინ! ორი სხვა-და-სხვა ქვეყანაა. შორი-შორსა ვართ... იმათ ტირილს და ლხინს ცალკე ღობე ავლია, ჩვენსას ცალკე. გული გულს ვეღარ მიგვიკარებია, ვეღარ მიგვისვედრებია, და რად უნდა გვიკვირდეს, რომ ერთმანერთისა აღარა გვესმის-რა... ახლა ჩვენ შუა დადის მარტო ჰტყუელი ენა მწიგნობარისა და ხარბი ხელი გამძღარისა. ამისთანა მოციქულები აბა კარგს რას დაგვაყრიდნენ... გული... გული, ესე იგი, ის მადლი, რაც ენას და ხელს უნდა ასაქმებდეს, აღარ არის, ან არის და დამუნჯებულია, დაყრუებულია, თითქო იმათაც და ჩვენც მოგვკვდომოდეს, თუ მთლად არა, ერთი ნახევარი მაინცა. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ას დამ, გაიგონა თუ არა განაჩენი, შეჰკივლა საშინელის ხმით. ტუსაღები მაინც-და-მაინც ძლიერ არ შეძრწუნებულან, თითქო აქ არაფერი ამბავიაო; ასე გასინჯეთ, რომ ფერიც არ შესცვლიათ. ერთი ტუსაღთაგანი უგრძნობლად ავად არის და საავადმყოფოში წევს.

ან. ჟუღელი

## უცხოეთი

**ავსტრია.** არ ვიცით, რამდენს ხანს გასტანს, მაგრამ მყუდროება-კი დიდი ჩამოვარდა პოლიტიკაში. ეს მყუდროება არც იმ მყუდროებასა ჰგავს, რომელსაც მოსდევს მერე ქარტეხილი და ჭექა-ქუხილი. საერთო მყუდროებას ამ ჟამად ისევ ავსტრო-ვენგრიის არღვევს, თუ მყუდროების დარღვევად მისახნევია ის გარემოება, რომ ამ სახელმწიფოში დეპუტაციებს კიდევ სთხოვენ ფულს სამხედრო საჭიროებისათვის, საზღვრებზე რკინის-გზების მოსართავის ზრუნვაში არიან და სულ ახალ სამხედრო მინისტრს, ბარონ ბაუერზე ლაპარაკობენ. თუ ახსოვს მკითხველს, ბარონი ბაუერი სულ ცოტა ხანს დაინიშნა სამხედრო მინისტრად გრაფ ბილანდტ-რეიდტის მაგიერ და დაინიშნა, ვითომ იმიტომ-რომ უფრო მხნე, უფრო ნიჭიერი, უფრო ჯან-ღონეზეა და სწორედ ასეთი კაცია საჭირო მაშინ, როცა, ვინ იცის, რა აშფოთებული საქმეების მოსალოდნელია.

დიდი ლაპარაკია ამ ჟამად ვენაში იმის გამოც, რომ იქ იმყოფება ვენგრიის მთავარ-მინისტრი კოლომან ტისსა, რუმინიის მეფე კაროლუსი, სერბიის მთავარ-მინისტრი ბ-ნი გრუიჩი და სხვანი. ყოველ დღე ბჭობა და თათბირია თვით იმპერატორის ფრანც-იოსების თავს-ჯდომარეობით. მინისტრები კიდევ ცალკე ბჭობენ და თათბირობენ იმაზე თუ, — რამდენი მოვითხოვოთ ფული დელეგაციებისაგანაო. ყოველივე ეს, რასაკვირველია, საკმარისია, რომ მითქმა-მოთქმა ასტყდეს, გაზეთებმა გატკიონ და გამოუტკიონ, დიპლომატიამ ჩივჩივი და ჩურჩული შექმნას, ბანკირებმა, ფულიანმა კაცებმა და ბირჟის აკან-ჩაკანებმა ყურები ცქვიტონ კურდღლებივით. ასეც არის ამ ჟამად ავსტრი-ვენგრიაში და ასე არის იმიტომ-რომ გამოიყვანონ გარინდებულ მდგომარეობიდამ გერმანია, რომელიც ვილჰელმის გარდაცვალების შემდეგ ისე იქცევა, თითქო სასახლის მიღმა ჩავარდაო.

**გერმანია.** გერმანიის იმპერატორი ჯერ-ჯერობით უკეთ არის. ძილი კარგი აქვს და მადა. მუშაობითაც ბევრსა მუშაობს და საქმობს, უფრო სწერს, რასაკვირველია, და სწერს ბევრს, რადგან სალაპარაკოდ-კი, ნება-უნებურად, უნდა სწეროს ქაღალდზე, იმიტომ-რომ ლაპარაკი აღკრძალული აქვს და სწყენს კიდეცა. ყოველ ოცის წუთის შემდეგ შედიან მასთან ექიმები და უწმენდენ სასუნთქველად ყელში ჩასმულს მილს. ეს მილი ვერცხლისაა და არა მინისა, როგორც ამას წინად ჩვენ შეცდომით მოვიხსენიეთ. თუმცა ასეთს გაჭირებაშია იმპერატორი, მაინც საკვირველს მოთმინებასა და დიდ-სულოვნობას იჩენს: ნამცეცი სიაჩქარე არ ემჩნევა, გუნება დამშვიდებულია და დიდის სიწყნარით, თავ-განწირულებით ითმენს მძიმედ მოსათმენს ავადმყოფობას. გონება სრული და ნათელი აქვს და ისე ჭკვიანობს, სჯის, მოქმედობს ჩქარა, როგორც ჯან-მრთელსა და გონება-წარმატებულს ადამიანს შეეფერება. წარსულს კვირას, მაგალითად, იმპერატორი ფრიდრიხი დილით ადრე ადგა, მადიანად ისაუზმა და მერე ერთის საათის განმავლობაში ისე მოისმინა წირვა, რომ დაღალულობა არ შესტყობია. წირვის შემდეგ ინახულა ზოგიერთი დიდებული და უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი. ექიმები ძალიან მოხარულნი არიან, რომ მათი უავგუსტოესი ავადმყოფი ისე კარგად ჰგრძნობს თავსა; ნაკლებად ახველებს და მხოლოდ ათასში ერთხელ მოუმატებს ხოლმე ხველა. იმედი აქვთ, რომ ხველა მალე სულ გაუვლის. ტყუილია, ვითომ ერთხელ ისეთი ხველა აუტყდა, რომ სასუნთქი მილი გამოუვარდა ყელიდამ და ვითომ იმპერატორის სიცოცხლე ბეწვზედ-და ეკიდაო. სრული იმედია ვიფიქროთ, რომ გაზაფხულზედ, როცა დათბება და კარგს დარებს დაიჭერს, უფრო კარგად შეიქმნებაო.

— მემკვიდრე პრინცი ვილჰელმი კვლავ ცუდად არის. ყველამ იცის, რომ პრინცს დიდი ხანია ყურის ტკივილი დასჩემდა. ამ ყურის ტკივილისა აქამდე ექიმებს ვერა გაუგიათ-რა და ემნელებით კიდეც მორჩენა. ამ დღეებში კვლავ გაუძლიერდა ყურის ტკივილი. პრინცს სწამლობს ჯარა-ექიმი, პროფესორი ბერგმანი, ის ბერგმანი, რომელმაც ისე ხერხიანად გაუკეთა ოპერაცია ფრიდრიხსა.

— ბისმარკმა ამას წინად წაიკითხა რეიხსტაგში იმპერატორის ეპისტოლე. იმპერატორი ამბობს, რომ მადლობას უცხადებ რეიხსტაგს იმ ერთგულობისა და ერთსულობისათვის, რომლითაც მიეგება მთავრობის წინადადებას, ჯარისა და მხედრობის შესახებ. «გარდაცვალებულ მშობელსა ჩვენსა აღარ დასცალდა მადლობა გამოეცხადებინა რეიხსტაგისათვისაო, — ამბობს ეპისტოლეში იმპერატორი ფრიდრიხი. მე ვგრძნობ, რომ მოვალე ვარ, იმისი ანდერძი შევასრულო თქვენ წინაშე და მადლობა გითხრათ იმის მაგივრადაც და ჩემ მაგივრადაც თქვენის მამულიშვილობისათვის».

**იტალია.** მთავარ-მინისტრს კრისპის უქო პოლიტიკა ბუფარდინიმ და ოდესკალკიმ, რადგან კრისპი მიემხრო შუა-ევროპის კავშირსა. ტოსკანელმა და პენტანომ-კი უსაყვედურა ამის გამო მინისტრს და არ მოუწონა საქციელი საფრანგეთისა და ბოლგარიის შესახებ. პასუხად კრისპიმ სთქვა: „ჯერ ისევ დეპუტატი ვიყავი, რომ მუდამ ვემხრობოდი შუა-ევროპის კავშირსა და ინგლისსა, იმიტომ-რომ ეხლანდელ დროში ესეთი პოლიტიკა ერთად-ერთი ხელსაყრელი პოლიტიკაა იტალიისათვისაც და მთელის ქვეყნისათვისაცა. მინისტრობა რომ მივიღე, მაშინაც ესე მოვიქეცი და ასე ვიქცევი დღესაც. ჩვენ მოკავშირენი გვეჭირება, თუ ვინიცობაა ომი ასტყდა. აქა სთქვეს, რომ სამთა კავშირს ომის ატეხა სწყურიანო. ამის ფიქრი უაზრობაა; მოკავშირენი მხოლოდ დღევანდელ წეს-წყობილების დაცვას ჰფიქრობენ. საფრანგეთთან ჩვენ მეგობრულად ვართ. სავაჭრო ხელ-შეკრულობის საქმეში ყველაფერი დავუთმეთ, რაც-კი შეიძლებოდა. ახლა ყველაფერი თვით საფრანგეთის სურვილსა და ნებაზეა დამოკიდებული. შემდეგ კრისპიმ ისპანიაზე ილაპარაკა. კეთილშობილი ერია ისპანიის ერი და ისპანია მალე დაიჭერს შესაბამს ადგილს ევროპის სახელმწიფოთა კონცერტშიო.

**ოსმალეთი.** სტამბოლელი კორრესპონდენტი შემდეგს ფრიად საყურადღებო ამბავსა სწერს გაზეთს „Daily News“-ს: ინგლისსა და ოსმალეთს შორის მოლაპარაკებაა იმის თაობაზე, რომ შეჰკრან ერთმანეთში პირობა, რომლის ძალითაც ინგლისი ტერიტორიას თავი დაანებოს ეგვიპტეს 1889 წლის 1 აპრილისათვის. ოსმალეთი თავის მხრით კისრულობს ატაროს გემები ინგლისისა დარდანელის გასავალში ცალკე ნება-დაურთველად.

## წვრილი ამბები

იმპერატორ ვილჰელმის გარდაცვალების დღეს ბერლინიდგან ქვეყნის ყველა მხარეს გაუგზავნიათ 36,615 დეპეშა, რომლებშიაც სულ 1.115,551 სიტყვა ყოფილა.

— სამგლოვიარო მორთულობა გზისა, რომელზედაც იმპერატორი ვილჰელმი გაატარეს ბერლინიდგან შარლოტტენბურგში, ბერლინის ქალაქის საბჭოს 400,000 მან. დასჯდომია.

— პარიჟის სასამართლოს მე-9 ნაწილში გაურჩევიათ ამას წინად საჩივარი მარსელ დეპრეზისა, რომელიც სჩიოდა თურმე დრიუმონზე, „La France juive“-ს ავტორზე, და ამ წიგნის

---

...ვალ-თვალა და ცალ-ყურა ნახევრით-და ცხოვრობთ და ვკითხულობთ ერთმანერთს... ნახევარ-კაცად, ნახევარ გულით ცხოვრება სიკვდილია, კდომაა... მაგრამ განსხვავება იმ ცოცხალ ნახევარშია, რომელიც შერჩენილი გვაქვს. ჩვენ რაცა ვართ, გაკეთებულნი ვართ, ისინი-კი შემზნილნი... ისინი ჩავირულნი არიან, ჩვენ დონდლონი, დუნენი... ცხოვრება მათშია: იქა ჰდუღს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სცემს თვითონ სიცოცხლის ძარღვიცა... ჩვენ ხედვათ და სმენაიც ულონონი ვართ და იქ-კი... იქ-კი რამდენს ღონეს შექმნისა... დიდი კედელია ჩვენსა და იმათ შუა!... ჩვენის სისხლ-ხორცის ქვითკირია, ქვითკირი... ჩვენ ...მ გვეითხონ, ვითომ დიდი ხანია ჩაგვიქცევია ეს მაგარი კედელი. მაგრამ ...თი? მარტო წიგნისაგან გაალმასებულ ...ნით. ენით ვაქცევთ და გული-კი ისევ ...ლაუჭება, ისევ აშენებს... ჩვენს უკან ...ნელია, ღამეა... და ხიდია ჩატეხილი“.

ეგ უნდა ავტორს, რომ ყველას ...ავებინოს, იმ იმედით და დარწმუნებით, რომ

„ეგ ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა, — შუქია წინისა და შუქი ...მ დასაწყისის განთიადისა: ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს, ...ნა ჰხნავს და აშენებს. ეგ ნამი რომ ...ბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და ...თელს ტივს მიიტანს, რომ ჩვენ შორის ჩატეხილი ხიდი გაამთელოს, და ...ერე ორსავ ნაპირს გაართებს“.

აქ დიდად პატივცემული ავტორი ...სეთს კითხვას შეეხება, რომელიც ...წარედ აფიქრებს და აღელვებს ყოველს ინტელლიგენტს, მაგრამ, ჩვენი აზრით, იგი საკმაოდ ვერ ხსნის, — ...რთ-მხრივ ჰფენს ნათელს მას.

ავტორი მეტს ყურადღებას აქცევს ...ულს, მინამ გონებას, და ჩვენ ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს აქ არ დავეთანხმოთ ავტორსა. მართალია, ...ენდა საუბედუროდ, «სისხლ-ხორცის» კედელი ჯერ კიდევ მაგრად ...დგას, ჯერ კიდევ ბოლომდე არ ...აქცეულა ჩვენში, მაგრამ ამ გარემოების მიზეზი ჩვენ გონებაში უნდა ...ეძიოთ და არა გულში. თუ-კი მართლა «რაღაც» ისევ ებლაუჭება, ისევ ...შენებს ამ კედელს, ეგ «რაღაც» — გაუნათლებელი ან ზედათად-განათლებული გონებაა და არა გული. ჩვენსა და ხალხის შუა „სისხლ-ხორცის“ კედელზე უფრო დიდი და უფრო დამაფიქრებელი მეორე კედელია, — ერთის მხრით, სრულ გაუნათლებლობის და, მეორეს მხრით, ზედათი-განათლების ქვითკირია, ქვითკირი. ამ «გაუნათლებლობა-ზედათი-განათლების» დიდ კედელთან შედარებით, «სისხლ-ხორცის» კედელი მხოლოდ ერთი იმ დაფუკებულ ტიხრულთაგანია, რომელიც ამ დიდ კედლის ძირში მიფარულა და რომელიც, თავის მფარველის დაქცევისთანავე, თვით გაქრება დედამიწის ზურგიდამ. ჩვენ უნდა ვეცადოთ ამ «გაუნათლებლობის» კედლის დაქცევას, თორემ ვიდრემდის ის მაგრად იდგმება, იგი დაიცავს ჰაერის გამწმენდ ნიავისაგან და წვიმისაგან ისტორიით მის ძირში მიშენებულ, და აწ უკვე დაშლილ, უწმინდურ ტიხრულსა. აქ გული მარტო ვერას გააწყობს. სწავლა-განათლება დურბინდი-კი არ არის, რომლითაც ჩვენ წყალ-გაღმა გახედვა შეგვიძლია, — ეგ თვით ის მასალაა, რომლითაც „ჩატეხილი ხიდი“ უნდა გამთელდეს და ორივ ნაპირი გააერთოს. რასაკვირველია, ჩვენ აქ ნამდვილ განათლებაზე ვამბობთ და არა იმ განათლებაზე, რომელიც მხოლოდ „ენას აალმასებს“.

ავიღოთ თვით ავტორის მოთხრობა. განა იქ გამოყვანილ ორ წოდებათა წარმომადგენთა შორის დაშორებულობა, ერთისაგან მეორის გაუგებლობა მარტო «სისხლ-ხორცის», „გვარიშვილობის“, „გულის“ ბრალია? განა იმ გვარივე კავშირებში არ იქნებოდენ გაუნათლებელი და ზედათად-განათლებული გლეხი, გაუნათლებელი და ზედათად-განათლებული თავადი? განა იმ გვარივე ჩატეხილი ხიდი არ იქნებოდა იმათ შორის? «არ მიყვარდა და იმიტომ არ წავყვებოდი გიორგისაო», ამბობს კესო. „ჩვენი ვაიც მაგაშიაო“, მიუგებს ავტორი ერთხელვე დაქირავებულ არჩილის პირით და მოგვიყვება ისეთს «თეორიას სიყვარულისას», რომელზედაც არ შეგვიძლია არ შევჩერდეთ.

„არ გიყვარდა იმავ მიზეზით, რა მიზეზითაც არ შეირთავდი: გლეხ-კაცი იყო... არ შეირთავდი!.. ვის? — „მშვენიერ სულსა“. არ გიყვარდა ვინ? — „თავყან-საცემელი ღირსება“, არ გიყვარდა ის, ვისაც „ცის სხივით აცისკროვანებს მშვენიერება სულისა“, ჩასციებია არჩილი“.

„სიყვარული ბრძანებით არ მოდისო“, ეუბნება საცოდავი კესო, მაგრამ არჩილი უკან მაინც როდი დაიხევს. «განა მზე-კი უბძანებს ხოლმე ვარდს, გაიშალეო!» — განაგრძობს იგი: „აქ თავის თავად უნდა მოსულიყო, რომ უკაცრაოდ ბრმა გული არ დახვედროდა, გვარიშვილობის ცხრა კლიტით დაკეტილი“. კარგი რამ არის პოეტურ ქმნილებაში ვარდი და ბულბული, მზე და ვარდი, იადონი და ია, და სწორედ ამის გამო არიან ისინი ისე ხშირად შეწუხებულნი ჩვენი პოეტებისაგან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორც მზე გარდაშლის ყოველ გასაშლელ ვარდს, ისე რომ ყოველი „მშვენიერი-სული“-ქალი ყოველ „მშვენიერ-სულს“-ვაჟს შეიყვარებდეს, — მეტის მეტი იქნებოდა! ქალ-ვაჟის სიყვარული არის მეგობრობა, გაძლიერებული სურვითა, ან სურვა, გაძლიერებული მეგობრობითა. ნამდვილი მეგობრობა-კი მხოლოდ იმათ შორის არის შესაძლო, ვინც ერთი პაზრებით, ერთი მიმართულებით, ერთი მიზნებით და, ყოველ შემთხვევაში, ერთ გვარი განვითარებით არიან შეერთებულნი: «სამშვენიერე სულისა» დიდხანს მეგობრობას ვერ გამოჰკვებს, ვერ ჰშობს «სიყვარულსა, ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა». იქ, სადაც სურვა მეგობრობასთან არ არის შეერთებული, მხოლოდ ეგრეთ-წოდებული გატაცებაა (увлечение), და არა სიყვარული, თუმც საზოგადოებაში ხშირად გატაცებას სიყვარულადაც ჰრაცხვენ. განა შესაძლო იყო გიორგის კესოსაგან შეყვარება, ორივენი ერთი «გვარიშვილობის», ერთი «სისხლ-ხორცისაც» რომ ყოფილიყვნენ? თუ გიორგი კესოს «გულით სწყდებოდა, — ხელით-კი ვერა», ამის მიზეზი „სისხლ-ხორცში“-კი არა, განათლების, განვითარების სხვადა-სხვაობაში იყო.

„ასა შენი ტოლი კაცი ყოფილიყო... სიყვარულს ხომ მაინც მიუხვდებოდი და მაინც, სხვა არა იყოს-რა, თუნდ ნასესხი მადლიც გიორგისა არა სცხებოდა. აქ-კი გვარიშვილობამ კარი გულისა არ გაუღო. წმინდა შუქი მშვენიერის სულისა ამაოდ და უქმად-და ჯავარსავით ეფინებოდა ცივს კედელს. შენ ვერც-კი მიუხვდი, ვერც“...

ეუბნება არჩილი კესოს, მაგრამ აქაც «სისხლ-ხორცით» მთლად საქმე არ აიხსნება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ გვარადვე შეეძლო ვერ გაეგო განათლებულს თავადის ქალს გაუნათლებელი სოფლის თავადის სიყვარული. მაშ კესოს და გიორგის შუა არა მარტო „სისხლ-ხორცის“ კედელი ყოფილა!

ნაცვლად მისა, რომ უბრალოდ, ცხადად და გარკვევით აეხსნა ჩვენი და ჩვენი ხალხის ერთმანერთზე დაშორებულობის შედეგი, ავტორი მთელ ფილოსოფიას მოგვიყვება «გულზე და მადლზე», და ამ, შინაურულად, ნიგვზის ზეთზე შემზადებულ ფილოსოფიით უფრო აბუნდებს, მინამ ჰხსნის საგანს.

«გული რა არის? — ფილოსოფოსობს არჩილი. — მარტო ერთად - ერთი კაცი რომ ყოფილიყო ქვეყანაზედ, გულიც არ იქნებოდა. გული მადლია, და მადლი მარტო ორ შუა ჰსაქმობს. ორნი მაინც უნდა იყვნენ, რომ მადლი მოჰხდეს, იმიტომ-რომ მადლი ერთისაგან გაცემაა და მეორისაგან მიღება ერთსა და იმავე დროს. თუ არ გამცემელი არ არის, არ მიმღებელი, მადლიც არ არის, მაშასადამე გულიცა. თუ ორნი არ არიან ნუღარა რისთვის ამოცაქებლის არ ენა, არ თვალი, არ ყური. თავის თავთან მოცაქელი საჭირო არ არის, მოცაქელი სხვასთან უნდა. უსხვაოდ ერთის გული მარტო პარკია, სისხლის აღებმიმცემი აგებულებისათვის. სად არის ის სხვა? წყალ-გაღმაა, შორს... შორს... მაშ რაღად გიკვირს, რომ იქიდამ ვერარა გვხედვენ, ჩვენი აღარა სჯერათ... კეთილიც-კი».

ამ მსჯელობის ნაძალადობა აშკარაა. ეს მსჯელობა კიდეც რომ მართალი იყოს, რამდენადაც იგი შეეხება თვითეულ კერძო პირს, ცალკედ აღებულს, იგი, ყოველ შემთხვევაში, უსაფუძვლო და გამოუყენებელია, როდესაც საქმე მთელ წოდებას შეეხება. ყოველივე წოდება თვით შედგება მრავალი ინდივიდუმიდამ, მრავალ გულიდამ, და, მაშასადამე, თვით წოდების სამზღვრებში შესაძლოა «ორ შუა მადლის საქმობა», ესე იგი მთელი გულის, მადლის დაცვა. თუ ავტორს სახეში აქვს არა წოდების თვითეული წევრი, არამედ მთელი წოდებანი, — განა წოდებას, როგორც წოდებას, როგორც შეკრებულობითს საგანს, ჰქონია ოდესმე, ან შეიძლება-კი ჰქონდეს მთელი, გინდ ნახევარი გული? მაშ რა ჰაზრი აქვს მთელ ამ «გულ-მადლის» ფილოსოფიას?

მაგრამ არის მოთხრობაში ერთი რამ, რაც ფილოსოფიაზედაც უფრო ძნელი გასაგებია, და ეს „ერთი რამ“ — სოსია მეწისქვილის ოთარაანთ ქერივისადმი სიყვარულია. ჩვენ ვერას გზით ვერ გაგვიგია, რა საჭირო იყო ავტორისათვის მოთხრობის ბოლოს ამ მართლა რომ სასაცილო ეპიზოდის ჩაყენება. ერთიც ეს არის საჭირ-ბოროტო საკითხავი ამ «უსწორ-მასწორო» მოთხრობაში.

დასასრულ, არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, რომ ის უცნაური და ხშირად შეუფერებელი სათაურები, რომლებიც ავტორს მოთხრობის თვითეულ ხანასათვის მიუცია, ბევრს უშლის, მოთხრობის წაკითხვის დროს, შთაბეჭდილების ერთიანობას. ჩვენ გულ-წრფელად ვურჩევთ დიდად პატივცემულ ავტორს, რომ მოთხრობის ცალკე გამოცემის დროს მან სრულებით გაანთავისუფლოს ზოგიერთი ხანა მაინც იმ „ყურადღების აღმძვრელ“ სათაურებიდამ, რომლებიც სრულებით საჭირონი არ არიან ბ-ნ ილია ჭავჭავაძის მოთხრობისათვის.

მიხეილ ხელთუფლიშვილი

15 თებერვალს
1888 წ.

გამომცემლებზე, მარშონსა და ფლამარიონზე, რომ ცილი შემწამესო. სასამართლოს ჯარიმა გარდაუხდევინებია დრიუმონისათვის 80 მანათი, გამომცემლებისათვის 20 მანათი და 200 მანათიც სასამართლოს ხარჯი. ამას გარდა სასამართლოს დაუდგენია, რომ წიგნიდგან უნდა ამოიშალოს ის ადგილები, რომელიც შეურაცხყოფას აყენებს დეპრეზსაო. ეს გარდაწყვეტილება სასამართლოსი ათს უმთავრესს გაზეთში უნდა დაიბეჭდოს.

— კარმენ სილვას (დედოფალ ელისაბედს რუმინიისას) შეუთხზავს ლიბრეტო ბალეტისათვის და სახელად უწოდებია „ძვირფასი ქვები". ამ თხზულებაში ყველა ქვები კამათობენ — ვინ უფრო მეტად ძვირფასიაო. დიდის ბაასისა და კამათობის შემდეგ ბრილიანტი უნდათ აღიარონ ყველაზე ძვირფასად, რომ ამ დროს უეცრად რაღაცა დაიწყებს ბრწყინვას. პატარა ქალს ცრემლი ჩამოუგდია სხვის მწუხარებისა და უბედურების დანახვაზედ, ეს ცრემლი კარდზე დაცემულა და მზის სხივები ათას გვარად აბრწყინვალებენ. ამ სანახავზედ ყველა ქვები ჩუმდებიან, ხმას არ იღებს თითონ ბრილიანტიცა. დასასრულ, ყველანი ერთ-ხმივ აცხადებენ, რომ ადამიანიშვილის ცრემლი ყველაზედ მეტად ბრწყინავს, ყველასედ მეტად ლამაზია და ყველაზედ ძვირფასიც არისო.

— ვაშინგტონში გარდაცვლილა 90 წლის კაცთ-მოყვარე მოხუცი, დიდის შეძლებისა და ქონების პატრონი, კორკორანი. ამ კაცის სამადლო საქმეები მთელს ამერიკაში განთქმულია. მას შემდეგ, რაც ეს კაცი გამდიდრდა, დიდძალი სურათები აჩუქა ამერიკას, რამდენიმე თავ-შესაფარი გაჰმართა ქალებისათვის, უნივერსიტეტში დააარსა თავის ხარჯით და დააარსა აგრეთვე სხვა საზოგადო დაწესებულებანი.

— სარა ბერნარი წლეულს ვენაში ითამაშებს სცენაზედ.

— ჩინეთის გაზეთ „Shih-Pac"-ის 22 იანვრის ნომერში დაბეჭდილია შემდეგი შენიშვნა: „დიდის ხნის უწვიმობამ და გვალვამ დიდს მწუხარებაში ჩააგდო მკვიდრნი და ამიტომ გარდასწყვიტეს, შეავედრონ თავი ზეცას, რომ წვიმა ჩამოღვაროს. ამის გამო გამოუცხადებლივ ყველა სამხედრო და სამოქალაქო წოდების კაცებს ბრძანება ეძლევათ, ხვალ დილიდგან წავიდნენ კუან-ტის ეკკლესიაში, რომელიც ტიანძინშია, და ნაშუადღევის სამ საათამდე ილოცონ. ასე უნდა ილოცონ სამის დღის განმავლობაში და ამასთან მარხვაც უნდა შეინახონ. თქმა არ უნდა, რომ სასოებით სავსე ლოცვა მთავრობისა და მკვიდრთა ზეცას გულს მოულბობს და დააკმაყოფილებინებს ხალხის სურვილსა".

<>

## დეპეშა

16 მარტი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს შეიმუშავოს პროექტი კონვენციისა, რომლითაც რუსეთი სხვა სახელმწიფოებს უნდა მოელაპარაკოს და მოურიგდეს რუსეთში რქოსანის საქონლის შემოყვანის თაობაზე. ამ პროექტს საგნად ისა აქვს, რომ რაიმე ჭირი თან არ შემოჰყვეს საქონელსაო.

**ცარიცინი.** ცარიცინის პირდაპირ ვოლგაზე ყინული დაიძრა.

**ვენა.** რუსეთის ელჩი თ. ლობანოვ-როსტოვსკი წავიდა დროებით პეტერბურგსა.

**ბერლინი.** ამბობენ, რომ იმპერატორს ფრიდრიხს უნდა უაქიმოს მასსაჟის საშუალებით რუსის ექიმმა ზაბლუდოვსკიმ.

**სტამბოლი.** ელჩმა ნელიდოვმა გამოუცხადა დიპლომატებსა და ოსმალეთის სახელმწიფოს მოღვაწეთა, რომ ის ხმა, ვითომ რუსეთი ჯარებს აგროვებს სამხრეთ გუბერნიებში, ტყუილიაო.

**ბუქარესტი.** ტყუილია, ვითომ სამინისტრო გადადგება. ამას იქით განურჩევლად დაატუსაღებენ ყველას, დეპუტატებსაც-კი, ვისაც მონაწილეობა მიუღია უწესოებაში. მოწინააღმდეგე დასს განზრახვა აქვს, რომ კრება შეადგინოს წინააღმდეგობის გასაწევად.

17 მარტი

**პეტერბურგი.** გაზ. „Нов. Вр."-ია იუწყება, რომ ამას წინად რომში იქმნა გაგზავნილი პაპთან გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხელე იზვოლსკი იმ აზრით, რომ სამოკეთო მოლაპარაკება დაიწყოს რომის კურიასთან და, შეძლებისადა გვარად, რუსეთისათვის სასარგებლო პირობა შეჰკრას. იზვოლსკის დარიგება აქვს მიცემული აგრეთვე გარეშე საქმეთა სამინისტროს მიერ.

**პარიჟი.** სენის დეპარტამენტის ამომრჩეველთ ბულანჟე სწერს წერილს და მადლობას ეუბნება იმ კენჭებისათვის, რომელიც ჩემ სასარგებლოდ მოიხმარეთო. ამასთანავე აცნობებს, რომ ამ კენჭის ყრას აზრად ჰქონდა მომეტებულ ნაწილად დაცვა ჩვენის ეროვნულის ღირსებისა და საერთო მიწა-წყლისაო. იგი კენჭის ყრა იყო ლაღადისი წინააღმდეგ პარლამენტისა და აღმასრულებელის მთავრობის სისუსტისა და უძლურებისაო. ამასთანავე ამ კენჭის ყრამ უარ-ჰყო და გააბათილამა ცილის-წამებაცა, მიმართული იმ რესპუბლიკის მხედრის საწინააღმდეგოდ, რომელიც მამულის დაცვის მეტს სხვას არას ოცნებობდა არაოდეს. დასასრულ ბულანჟე ამბობს, რომ თუმცა ახლა, რაკი სამსახურიდამა ვარ გამოსული, შესაძლებელია ჩემი არჩევა დეპუტატად, მე მაინც ჯერ-ჯერობით უარს ვამბობ, იმიტომ-რომ არ მინდა იმ მოცილე და მოკამათეთა ადგილი დავიჭირო, რომელნიც ჩემთან ერთად იყვნენ კანდიდატებად დასახელებულნი საარჩევანო სიებში და არა ჩემდა საწინააღმდეგოდაო.

პეტერბურგის ბირჟა 15 მარტი

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო. | — | ,, | — | ,, | 9 | 66 |
| ტამოჟნის კუპონები . | — | ,, | — | ,, | 193¼ | |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . . . | — | ,, | — | ,, | 1 | 42 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — | ,, | — | ,, | 266 | |
| —მეორისა . . . . . | — | ,, | — | ,, | 244¼ | |
| გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |

## სავალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7396**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

მარტი 31 დღით არის.

18 დღე პარასკევი. წმ. კირილესი. კათოლ. გაბრიელისა. მუსულ, მე-18 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 5—47, ჩადის 6—24. მთვარე 19 დღისაა.

19 დღე შაბათი. წმ. ხარისანფისა და დარიასი. კათოლ. იოსებისა. მუსულ. მე-19 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 5—45. ჩადის 6—25. მთვარე 20 დღისაა.

20 დღე კვირა. წმ. იოანესი და კლავდიასი. კათოლ. ალექსანდრესი. მუსულ. მე-20 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 5—43, ჩადის 6—26. მთვარე 21 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

16 მარტიდამ 1 აპრილამდე

| | | | |
|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული | 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა . . | | 3 | » |
| » 2 » | | 2½ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | 5 | » |
| » » 2 » | | 3½ | |
| » » 3 » | | 3 | » |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | | » |
| 1-ლის ხარისხისა . . | | 5 | » |
| მე-2 ხარისხისა . . | | 4 | » |
| მე-3 — . . . | | » | » |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 11 | » |
| სუკი . . . . | | 16 | » |
| ძროხის ხორცი . . . | | 9 | » |
| » 2 » | | 8 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | | » | » |
| » 2 » | | » | » |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით—დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.


რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და წერა-კითხვის საზოგადოების სამართველოში:

საუკეთესო ცოდნა

შედგენილი და ახლად შესწორებული გიორგი წერეთლისა.

გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა

ფასი ერთი აბაზი

ნამდვილი საუნჯეა

ყველასათვის განთქმული წიგნი

**თავის მოვლა**

თხზ. დ—რის რეტაუსი

რუსულად გამოცემული 3-ის სურათით

ფასი 1 მანათი.

წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.

ვინც მანათს გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეს წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნსა.

ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlags-Magazin in Leipzig. (50—7)

კავკას. სამეურნეო საზოგადოების

სახალოსნო სკოლაში

(მუშტაიდის გვერდზე)

ისყიდება სხვა-და-სხვა ხეხილი და სადეკორაციო მცენარენი. ვისაც ჰსურს სია ანუ პრეისკურანტი გასასყიდის ხეხილისა, უსასყიდლოდ გაეგზავნება. (10—9)

დავიწყეთ გასყიდვა სრულიად უშიშარის

შვედურის ასანთისა,

რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაცა ღირს. ნარდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.

**ქარხანა**

გ. ბ. ტერ-ასატუროვისა და კº. ვერაზე, ტფილისის ქალაქში. (50—37)

წერა-კითხვის გამავრცელებელ

საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 109,110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ანბანი განვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . ,, | | 20 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . ,, | | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. «ივერიის» გამოცემა. . . . . ,, | | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ . . . . ,, | | 50 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა. . . . . . . ,, | | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 | ,, |
| სამართლის წიგნი კატალიკოზ-ბაქარ-ვახტანგ რუსულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . . | 3 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა გიორგი წერეთლისა მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . ,, | | 20 |

## გრ. ჩარკვიანის

ქართულის წიგნის მაღაზიის მიერ

გამოცემული წიგნები ისყიდება შემდეგს ქალაქებში:

ტფილისს—გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ლორის-მელიქოვის ქუჩ., ზუბალოვის სახლი;

ქუთაისს—ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიაში;

ხონს—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში;

გორს—კონსტანტინე ცხვედაძეს წიგნის მაღაზიაში;

ოზურგეთს—კონსტანტინე თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში;

ბათუმს—„კოგზალის ბუფეტში";

ფოთს—ბესარიონ კალანდაძესთან;

სოხუმს—გ. ჭამჭაძის მაღაზიაში;

ახალციხეს—ალექსი სალარიძეს მაღაზიაში, ძველ ქალაქში;

თელავს—ალექსანდრე მერაბოვის მაღაზიაში;

სიღნაღს—სანდრო ყაჯარტუზოვის მაღაზიაში;

კავკავს—ბუდან სომხიევის მაღაზიაში;

სურამს—მიხეილ შურგაიასთან, აფთიაქის გვერდით. (3—1)

## კანცელარია და წიგნთ-საწყობი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა გადავიდა ახალს სადგურში, სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში, თეატრის გვერდით, №№ 109 და 110. წიგნთ-საწყობი ცალკე არის მომართული. წიგნთ-საწყობში ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნი და სახელმძღვანელოები. ვინც ქალაქს გარედ წიგნს ან სახელმძღვანელოს დაიბარებს, დაუყოვნებლივ გაეგზავნება, მხოლოდ ფოსტის ხარჯი-კი მყიდველმა უნდა გადაიხადოს. კანცელარია და წიგნთ-საწყობი ღია იქნება გარდა კვირა-უქმეებისა დილის 9 საათიდა საღამოს 8 საათამდე. ვისაც კანცელარიასთან, ან წიგნის-საწყობთან რაიმე საქმე ექმნება, ამ ადრესით უნდა მოჰმართონ: Тифлисъ. Въ канцелярію (ან книжный складъ) Общества распространенія грамотности Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земел. Банка, №№ 109 и 110. (50—10)


Доз. цен. Тиф., 17 марта 1888 г. Типографія А. А. Михельсона, Гол. Проспектъ въ д. Читахова. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე